პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482234173, 07/12/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 29.08.34.018) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7094 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილის- 3673.23 კვ.მ.ფართზე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 42 000 ლარის ოდენობით. წერილს თან ახლდა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობა განსაზღვრულია 42 000 ლარით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 29.08.34.018) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7094 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილის- 3673.23 კვ.მ.ფართზე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 42 000 ლარის ოდენობით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე დ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482234173**
თარიღი: **07/12/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"-ა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების შესაბამისად დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 7094 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი - 3673.23 კვ.მ. ფართზე, რაც შეადგენს 42 000 ლარს.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

005264922

ექსპერტის დასკვნა № 00526

გაფრთხილება

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლ მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხ სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლ ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართვე სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამწიშნავი:

სტრუქტურა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

დასახელება:

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: გენადი ბალანჩივაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

დავით ლორთქიფანიძე / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014 GAC -PC-0010 შესაბამისობის სერტიფიკატი A-0989 და P-0583.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ მოგვცეთ საექსპერტო დასკვნა ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N6-ში მდებარე 29.08.34.018 საკადასტრო კოდ რეგისტრირებული 7094 კბმ მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 3673 კვმ ფართზე დანართის შესაბამისად, წლიური საიჯარო ქირის შესახ

შემოსვლის თარიღი: 29/06/2022 წ

გასვლის თარიღი: 03/08/202

დასკვნა

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ N29.08.34.018) ექსპერტიზაზე წარმოდგენილ 3673,23 კვმ მიწის ნაკვეთის (დანრთის შესაბამისად) წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება დღევანდელი დღ მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 42000 ლარს.

დავით ლორთქიფანიძე

გამოკვლევა